**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №ს-25/1**

ქ. თბილისი 02 აპრილი 2012 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“,** (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“), წარმოდგენილი მისი დირექტორის თათია ელიაძის სახით, და მეორეს მხრივ სსიპ პროფესიული კოლეჯი „პროფესიონალი“, (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

ვხელმძღვანელობთ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2.მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულების პირობებით დადგენილ ვადებში და ფორმით.
4. „მხარე“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. „მხარეები“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.
6.პროფესიული სტუდენტი˜ _ პირი რომელსაც მიმწოდებელმა უნდა გაუწიოს მომსახურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი
სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

---

მიმწოდებელი
სსიპ პროფესიული კოლეჯი „პროფესიონალი“

---

## მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – გულისხმობს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ - გულისხმობს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი“ - ნიშნავს შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი“ - ნიშნავს პირს, რომელმაც უნდა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველისათვის.

## მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ფასის ფარგლებში (პროექტი „მწვანე ყუთიდან“ შემოსული საკუთარი შემოსავლები) სპეციალისტების მომზადება (CPV8051000), კერძოდ სსიპ „საგურამოს ბავშვთა სახლის“ 1 აღსაზრდელისათვის - დავით ლეჟავა (პირადი №31001056632) და სსიპ „ავლაბრის ბავშვთა სახლის“ 2 აღსაზრდელისათვის – გიორგი სეფიაშვილი (პირადი №01611109263) და დავით წიკლაური (პირადი №01017057510) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან“ შეთანხმებული და წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა.

2.2. მიმწოდეელი ახორციელებს:

2.2.1. დავით ლეჟავას (პირადი №31001056632) – სწავლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით –„ინტერნეტტექნოლოგიები“ – III საფეხური, არასაბიუჯეტო სექტორი (რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 4 თვეს).

2.2.2. გიორგი სეფიაშვილის (პირადი №01611109263) - სწავლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „ინტერნეტტექნოლოგიები“ – III საფეხური,არასაბიუჯეტო სექტორი (რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 4 თვეს).

2.2.3. დავით წიკლაურის (პირადი №01017057510) - სწავლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „ინტერნეტტექნოლოგიები“ – III საფეხური,არასაბიუჯეტო სექტორი (რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 4 თვეს).

2.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

## მუხლი 3. მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2012 წლის 02 აპრილიდან 2012 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი – ქ. თბილისი.

## მუხლი 4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1200,00 (ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

## მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.
5.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი
5.3 ანგარიშსწორების ადგილი - ქ. თბილისი.
5.4 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე ანაზღაურებს მიყენებულ ზიანს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.
6.3 შემსყიდველი ორგანიზაციის ან მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
6.4 საჯარიმო სანქციები არ ათავისუფლებს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## მუხლი 7. ხარისხი

მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

## მუხლი 8. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენა

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული პრეტენზია, რის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნდებული გაწეული მომსახურება.
8.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს პროგრამების სამსახურის უფროსი, ნინო არველაძე.
8.3 მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს კოლეჯის შესყიდვების კოორდინატორი ოლღა ჩიკვილაძე.

## მუხლი 9. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

9.1 მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე.

## მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

**10.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია:**
ა) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასურის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით გადახდა.
ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში მის მიმართ გამოიყენოს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.
გ) სტუდენტის მიერ კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში, ინფორმაცია მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას და მასთან ერთად გააკონტროლოს სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის მდგომარეობა.
დ) პროფესიული სტუდენტის მიერ შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში წინასწარი გაფრთხილების და გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების გარეშე ამორიცხოს სტუდენტი სახელობითი სიიდან, რის შესახებაც აცნობებს შემსყიდველ ორგანიზაციას.

**10.2 მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა)გაუწიოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.;
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე
გ) სწავლის პროცესში ხელი შეუწყოს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
დ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარებისათვის პირობების შექმნა, მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
ე) ჩარიცხოს სწავლის მსურველი პირი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ინტერნეტტექნოლოგის“ ( III საფეხური) არასაბიუჯეტო სექტორზე;
ვ) სრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (თეორიული და პრაქტიკული ნაწილი) წარმატებით გავლის შემთხვევაში მიანიჭოს სტუდენტს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გადასცეს მიღებული განათლების დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი.

**10.3 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:**

ა) კოლეჯის ადმინისტრაციისგან მიიღოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის მდგომარეობის შესახებ.

ბ) სტუდენტთან დაკავშირებული საკითხები შეათანხმოს კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

**10.4 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:**

ა)დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ)გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და წესით;

## მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

## მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 02 აპრილიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, მაგრამ არაგვიანეს 2012 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

## მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართონ სასამართლოს.

14.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული შეთანხმების გაფორმების გზით.

14.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:
სსიპ ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი"
საიდ. კოდი 204935712
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N76-ბ
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი 220101480
ა/ა: 34087631

დირექტორი
თათია ელიავა
---

მიმწოდებელი:
სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,პროფესიონალი"
ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N134
საიდენტიფიკაციო კოდი: 201947402
საბანკო რეკვიზიტები:
სს საქართველოს ბანკი ც/ფ
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა: GEO5BG 0000000120918301
ტელ: 2340965

დირექტორი
ნონა ღუდუშაური
---